ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

4398

ბრძანება №_____

11 დეკემბერი

"____"_____2015 წ.

ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩის №108-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 166-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე მუხლის და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2014 წლის 19 ნოემბრის სხდომის №54 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩის №108-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ1=0,7, კ2=7,5.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.12.2014 წლის №7-49 დადგენილების შესაბამისად ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი“. ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ანგარიში:GE88LB0125152101629357. 71524,8ლარი.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მეუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

წერილი № 2316820

გაცემის თარიღი: 28/12/2015 გაცნობის თარიღი: 28/12/2015

განცხადების ნომერი: AR1357075
შემოსვლის თარიღი: 16/11/2015
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.11.10.008.001
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ომარ ხიზანიშვილი , N 108
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1560.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): თამაზ ქოქოსაძე (P/N: 01008017751)

ნომენკლატურა :

- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები**
- **ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- თამაზ ქოქოსაძე პ/ნ 01008017751
- მისამართი: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ.#43, ბ.44.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის„„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანებისრეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

წერილი

თქვენი AR1357075 (16.11.2015) განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ საკითხი ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩის #108-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ განიხილა “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს” 2015 წლის 19 ნოემბრის N54 სხდომამ, რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხმა მიიღო დადებითი შეფასება და კოეფიციენტი განისაზღვრა კ1=0,7-ით და კ2=7,5;

დანართის სახით გიგზავნით ზემოთაღნიშნული სხდომის ოქმიდან ამონარიდს და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 11 დეკემბრის N4398 ბრძანების დამოწმებულ ასლს.

დანართი: “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს” 2015 წლის 19 ნოემბრის N54 სხდომის ოქმიდან ამონარიდი და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 11 დეკემბრის N4398 ბრძანების დამოწმებული ასლი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.